

ღია მმართველობის პარტნიორობა

საქართველოს 2012-2013 წლების

სამოქმედო გეგმის შესრულების

ანგარიში

## შინაარსი

I. შესავალი .....	3
II. ანგარიშის შესახებ .....	4
• შემუშავების პროცესი .....	5
• ანგარიშის შინაარსი .....	6
• საანგარიშო პერიოდი და მეთოდოლოგია .....	6
III. სამოქმედო გეგმის შემუშავება .....	7
IV. კოორდინაციის და მონიტორინგის მექანიზმი .....	8
V. ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის მიმოხილვა .....	10
VI. შესრულების მდგომარეობის შეფასება .....	13
გამოწვევა I - საჯარო მომსახურების გაუმჯობესება .....	13
1.1. ოუსტიციის სახლი: ყველაფერი ერთ სივრცეში .....	14
1.2. ელექტრონული მმართველობა ადგილობრივ თვითმმართველობებში .....	18
1.3. მოქალაქის პორტალი .....	20
1.4. ჯანდაცვის სფეროში მომსახურების გაუმჯობესება .....	22
გამოწვევა II - საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა .....	24
2.1. Data.gov.ge, Ichange.ge; საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება; .....	24
2.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო .....	28
2.3. პოლიტიკური პარტიების ფინანსური გამჭვირვალობა .....	29
2.4. საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელების პროცესში მონაწილეობა .....	31
2.5. არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი .....	33
გამოწვევა III - საჯარო რესურსების უკეთესი მართვა .....	35
3.1. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა .....	35
გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა .....	40
4.1. ტექნოლოგია ზრუნავს უსაფრთხოებაზე: სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული წარმოება და ელექტრონული სტატისტიკა; დანაშაულის რუკა; უსაფრთხო უბანი .....	40
VII. გამოწვევები და მიღებული გამოცდილება .....	43
დანართი. ვალდებულებათა შესრულების სქემა .....	48

## I. შესავალი

გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მოქალაქეთა მონაწილეობა, ტექნოლოგია და ინოვაცია – ღია მმართველობის პარტნიორობის ძირითადი პრინციპები საქართველოს მთავრობის მთავარი ღირებულებებია. მოწინავე ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, საქართველო მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას, მოქალაქეთა გაძლიერებას; გამჭვირვალობითა და ანგარიშვალდებულებით კი მთავრობის ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

საქართველო ერთ-ერთი პირველია იმ ქვეყნებს შორის, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობას 2011 წლის სექტემბერში შეუერთდა. ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პრინციპების გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და 2012 წლის აპრილში ღია მმართველობის პარტნიორობას წარუდგინა საქართველოს 2012–2013 წლების სამოქმედო გეგმა (გეგმა).

სამოქმედო გეგმის მიღებიდან 18 თვის შემდეგ, საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პროგრესი გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაში. 2013 წელს ახალმა

*ყოველი ახალი ინიციატივის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია ფართო საზოგადოების ჩართულობა*

მთავრობამ უპრეცედენტო დონეზე აყვანა ღიაობისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ხარისხი. მთავრობის ყოველი ახალი საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავების დროს უზრუნველყოფილია კონსულტაციები ფართო საზოგადოებასთან. შესრულებული სამუშაოს შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით კი ყოველთვიურად, ღია მმართველობის ინიციატივის ფარგლებში, იმართება პრეს-კონფერენციები, სადაც მინისტრები წარადგენენ ანგარიშს მათ სფეროში არსებული მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ.

მიუხედავად მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგებისა, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება ვერ შესრულდა, თუმცა მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება. საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად

კვლავ რჩება ღიაობა და ამ მიზნის მისაღწევად გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა.

მიუხედავად პოსტ-საბჭოთა წარსულისა, დღეს საქართველო ევროპის ქვეყნებს შორის გამოირჩევა კორუფციის დაბალი მაჩვენებლით. კორუფციის გლობალური ბარომეტრის კვლევის მიხედვით საქართველოში კორუფციის მაჩვენებელი არის მხოლოდ 4%,<sup>1</sup> ხოლო მსოფლიო ბანკის კვლევით ბიზნესის კეთების შესახებ საქართველო მე-7 ადგილს იკავებს ბიზნესის კეთების სიმარტივით.<sup>2</sup> საქართველო ამაყობს სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ფინანსების გამჭვირვალობისა და საჯარო სერვისებით უზრუნველყოფის სფეროში მიღწეული შედეგებით, პროექტები და ინიციატივები, რომლებმაც საერთაშორისო მასშტაბით მოწონება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ჯილდო დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა დანაშაულის დონე და თბილისი ევროპის დედაქალაქებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო გახდა; მოსახლეობის 99.1% თავს გრძნობს უსაფრთხოდ დღის მანძილზე, სადამოს - 97.8%,<sup>3</sup> 96.4% არ აქვს თავდასხმის საშიშროების შეგრძნება და 96.5% არ ეშინია გაქურდვის.<sup>4</sup>

სრულფასოვან დემოკრატიაში, საქართველომ უნდა გადალახოს რთული გამოწვევები, მათ შორის ღია მმართველობის სფეროში, სამოქმედო გეგმით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება კი სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

## II. ანგარიშის შესახებ

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში (ანგარიში) აფასებს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი მუშაობის შედეგად გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებების შესრულების პროგრესს. ანგარიშში სრულყოფილად და ობიექტურად

<sup>1</sup>კორუფციის გლობალური ბარომეტრი, 2013 წ. გვ.33, საერთაშორისო გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომია: <http://www.transparency.org/gcb2013/report>.

<sup>2</sup>ბიზნესის კეთება 2013, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი/მსოფლიო ბანკი, მე-10 გამოცემა, გვ.165, ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/reports/global-reports/doing-business-2013>.

<sup>3</sup>დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა, საქართველო, 2012, დაფინანსებული ევროპის კავშირის მიერ; იგივე კვლევა 2013 წელს კიდევ ერთხელ ადასტურებს გავრცელებულ დანაშაულთა შემცირების ტენდენციას – 0.20% (2012), 0.16% (2013)

<sup>4</sup>დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა, საქართველო, 2013

არის შეფასებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ მიღწევები და გამოწვევები.

ანგარიში შემუშავდა გეგმით გათვალისწინებულ პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობის და საჯარო კონსულტაციების შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა მრგვალი მაგიდებისა და ორმხრივი შეხვედრების ფორმატში. აღნიშნულ პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

- **შემუშავების პროცესი**

ანგარიში მომზადდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებებიდან მიღებული ინფორმაციისა და USAID/კარგი მმართველობა საქართველოში (G3) პროგრამის მხარდაჭერით გამართული ორი მრგვალი მაგიდის ფარგლებში (2013 წლის 1 ოქტომბერი; 2013 წლის 26 დეკემბერი) მიმდინარე განხილვების საფუძველზე.

*სრულფასოვან დემოკრატიაზე საქართველომ უნდა გადალახოს რთული გამოწვევები, მათ შორის ღია მმართველობის სფეროში; სამოქმედო გეგმით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება კი სწორედ ამ მიზანს ემსახურება.*

2013 წლის 1 ოქტომბრის მრგვალი მაგიდის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულმა პასუხისმგებელმა უწყებებმა სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა მოწვეულ სტუმრებს წარუდგინეს ვალდებულებათა შესრულების ანგარიშები. ღონისძიებაზე წარმოდგენილი სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეთანხმებით, ის ვალდებულებები, რომლებიც ვერ შესრულდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გადაინაცვლებს საქართველოს ახალ სამოქმედო გეგმაში.

ვინაიდან პირველი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საანგარიშო პერიოდი სრულად მოიცავს 2013 წელს, ვალდებულებათა შესრულების შეფასების ანგარიშის სრული სურათის წარმოსაჩენად, მნიშვნელოვანია, რომ ანგარიში ასახავდეს 2013 წლის ბოლომდე განხორციელებულ აქტივობებს.

მეორე მრგვალი მაგიდის (26 დეკემბერი, 2013) ფარგლებში ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ გააკეთა 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების სრული ანგარიშის პროექტის პრეზენტაცია და წარმოადგინა ვალდებულებათა შესრულების შეფასების

რეიტინგები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მრგვალი მაგიდის ფარგლებში განხილვების შედეგები სრულად აისახა ანგარიშში, რამდენიმე ვალდებულებასთან დაკავშირებით კი რეიტინგები შეიცვალა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ორივე მრგვალი მაგიდა მოიცავდა მომდევნო სამოქმედო გეგმასთან (2014-2015) დაკავშირებული საკითხების განხილვასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციებს სამომავლო პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

- **ანგარიშის შინაარსი**

ანგარიში იწყება საქართველოს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის აღწერითა და ეროვნულ დონეზე არსებული საკოორდინაციო მექანიზმის მიმოხილვით. ანგარიში აანალიზებს სამოქმედო გეგმის არსს და ვალდებულებათა შესაბამისობას OGP-ის გამოწვევებთან და პრინციპებთან. აქვე მოცემულია ვალდებულებათა შესრულების შეფასება და მასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია საქართველოს უახლესი მიღწევები და არსებული მდგომარეობის მიმოხილვა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულდა, ვალდებულებათა სრული იმპლემენტაცია 2013 წლის ბოლოსთვის ვერ მოხერხდა. ღია და ანგარიშვალდებული მთავრობის შექმნა რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც საჭიროებს ყველა დაინტერესებული მხარის მნიშვნელოვან ძალისხმევას. საქართველოს მთავრობა საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით, კიდევ ერთხელ, გამოხატავს მზადყოფნას, იყოს OGP-ის აქტიური მონაწილე და წვლილი შეიტანოს საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პროცესებში ღია მმართველობის პარტნიორობაში ჩართული ქვეყნების მოქალაქეთა სასარგებლოდ.

- **საანგარიშო პერიოდი და მეთოდოლოგია**

ანგარიში აფასებს საქართველოს მთავრობის მიერ სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მიზნით 2012-2013 წლების საანგარიშო პერიოდში მიღწეულ პროგრესს. ვალდებულების შესრულება ფასდება შემდეგი შესრულების შეფასების რეიტინგით:

ა. სრულად შესრულდა

ბ. უმეტესად შესრულდა

გ. ნაწილობრივ შესრულდა

## დ. განხორციელების პროცესშია

### ე. არ შესრულებულა

მთავრობის მიერ ნაკისრი 12 ვალდებულებიდან 3 სრულად შესრულდა, 4 უმეტესად, 4 ნაწილობრივ შესრულდა, ერთი ვალდებულება კი განხორციელების პროცესშია. სამოქმედო გეგმის ვალდებულებათა შესრულების სრული სურათი მოცემულია **დანართში – „ვალდებულებათა შესრულების სქემა“**.<sup>5</sup>

## III. სამოქმედო გეგმის შემუშავება

სამოქმედო გეგმა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სტუდენტებთან და აკადემიური წრის წარმომადგენლებთან საფუძვლიანი საკონსულტაციო პროცესის შედეგად შემუშავდა. იგი OGP-ის ხუთი დიდი გამოწვევიდან შემდეგ ოთხს პასუხობს: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა, საჯარო რესურსების უკეთესი მართვა და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

საჯარო კონსულტაციების პროცესი დაიწყო პარტნიორობაში გაწევრიანებიდან 2 თვეში. მასში მონაწილეობა სახელმწიფო უწყებებმა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, სტუდენტებმა და აკადემიური წრის წარმომადგენლებმა მიიღეს.

გეგმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა. კერძოდ, მომზადდა რეკომენდაციები მედია კოალიციის ინიციატივით, რომელიც აერთიანებს 13 ორგანიზაციას. იუსტიციის სამინისტროსთვის წარსადგენი რეკომენდაციების პროექტის მომზადების პროცესს კი უხელმძღვანელებს საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა და ჯამპსტარტ ჯორჯიამ.

შემუშავდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული კონკრეტული რეკომენდაციების ნუსხა, რომელთა შორისაა: სამთავრობო უწყებების ვალდებულება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ, თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ხელმისაწვდომობის გაზრდა, დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა, მოქალაქეთა ჩართულობა კანონშემოქმედებით პროცესში, ბიუჯეტის დაგეგმვისა და

---

<sup>5</sup> იხილეთ გვ. 48.

სასამართლო სისტემის მიმართულებით ცნობიერების ამაღლება და ამ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას წარედგინა რეკომენდაცია ონლაინ პლატფორმის შექმნის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს საჯარო მონაცემების გამოყენებად ფორმატში განთავსებას, საჯარო კონსულტაციებისათვის ონლაინ სივრცის გამოყოფას და მოქალაქეთა პეტიციების სისტემის ამოქმედებას, რომელთა განხილვაზეც პასუხისმგებელია შესაბამისი სახელმწიფო უწყება. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს კვლევის - „ღია მმართველობა საქართველო - მიღწევები და გამოწვევები“ შესაბამისად, საქართველოს მთავრობის რეაგირება არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებზე შეფასდა პოზიტიურად.<sup>6</sup> მართლაც, როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდანაც ჩანს, რეკომენდაციების უმრავლესობა ასახულია სამოქმედო გეგმაში.

საზოგადოების ინფორმირებულობისა და მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად, სამოქმედო გეგმის პროექტი ღია მმართველობის ინიციატივის მოკლე აღწერილობასთან ერთად განთავსდა იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, OGP-ისთვის სპეციალურად შექმნილ სექციაში. გარდა ამისა, 2012 წლის 12-26 მარტს იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით საჯარო კონსულტაციები გაიმართა ქვეყნის მასშტაბით 6 სხვადასხვა ქალაქში: თელავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ბათუმი და თბილისი. აღნიშნულ საკონსულტაციო შეხვედრებს მასპინძლობდნენ სკოლები ან უნივერსიტეტები და უმეტესად ესწრებოდნენ სტუდენტები და აკადემიური წრის წარმომადგენლები.

#### **IV. კოორდინაციის და მონიტორინგის მექანიზმი**

ეროვნულ დონეზე ღია მმართველობის ინიციატივის კოორდინაციაზე, სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მისი შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (ანტიკორუფციული საბჭო). ანტიკორუფციული საბჭოს ფუნქციებში შედის ქვეყანაში ანტიკორუფციული საქმიანობის კოორდინაცია, ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგი. ანტიკორუფციული საბჭოს წევრები არიან როგორც სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მაღალი თანამდებობის პირები, ასევე არასამთავრობო და

---

<sup>6</sup> ხელმისაწვდომია: <http://transparency.ge/en/node/2599>



საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულ იქნა ანტიკორუფციული საბჭოს მიერ 2012 წელს.

ღია მმართველობის ინიციატივის კოორდინირებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, იუსტიციის სამინისტრომ შექმნა არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი. სამოქმედო გეგმის შემუშავების შემდგომ, თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან გაგრძელდა სხვადასხვა ღონისძიებებისა და სამუშაო შეხვედრების ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ღია მმართველობის ინიციატივასთან დაკავშირებით გაიმართა არაერთი შეხვედრა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის პროგრამის (G3) მხარდაჭერით 29 ივლისს გაიმართა მრგვალი მაგიდა ღია მმართველობის პარტნიორობისა და მოქალაქეთა ჩართულობის თემაზე. შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა წარმოადგინეს რეკომენდაციები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მექანიზმების შესახებ.

ასევე USAID-ის G3 პროგრამის მხარდაჭერითა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან თანამშრომლობით, 2013 წლის პირველ ოქტომბერს გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელზეც განხილულ იქნა ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესი, მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები.

გარდა ამისა, 2013 წლის 26 დეკემბერს გაიმართა მრგვალი მაგიდა - ***ღია მმართველობის პარტნიორობის 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა.*** ღონისძიების მიზანი იყო 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა და ახალი 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის დაწყება. ღონისძიების ფარგლებში სამდივნოს მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო გეგმა, რომელიც მომზადდა ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში შემუშავებული სახელმძღვანელო

დოკუმენტების შესაბამისად.<sup>7</sup> სამუშაო გეგმასთან ერთად მონაწილეებმა განიხილეს არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის განახლების საკითხი და ფორუმის სახელმძღვანელო წესები. ამასთანავე, მრგვალ მაგიდაზე მოწვეულმა თითოეულმა სახელმწიფო უწყებამ წარადგინა ერთი ახალი ვალდებულება, რომლის ასახვაც საჭიროდ მიაჩნდა ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს ახალ სამოქმედო გეგმაში (2014-2015).

ეროვნულ დონეზე ღია მმართველობის ინიციატივასთან დაკავშირებული საკითხები ნორმატიული აქტის საფუძველზე პირველად გათვალისწინებულ იქნა 2013 წელს საქართველოს მთავრობის №775 განკარგულებით „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ.“ აღნიშნული განკარგულებით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანად შესრულებისათვის, რამდენიმე სამთავრობო დაწესებულებას დაევალა შესაბამისი რეკომენდაციების, მოსაზრებების შემუშავება და ანტიკორუფციული საბჭოსათვის წარდგენა. აღნიშნული მთავრობას 2013 წლის 1 აგვისტოს წარედგინა.

2013 წლის სექტემბერში, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ შემუშავებული პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოს 2014–2015 წლების სამოქმედო გეგმისათვის. სწორედ ამ პრიორიტეტების საფუძველზე შემუშავდება საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც ღია მმართველობის სამდივნომდე დასამტკიცებლად წარედგინება ანტიკორუფციულ საბჭოსა და საქართველოს მთავრობას.

## **V. ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის მიმოხილვა**

2012-2013 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს 11 პასუხისმგებელ უწყებას და 12 ვალდებულებას, რომლებიც შესაბამისობაშია ღია მმართველობის პარტნიორობის მიერ აღიარებულ პრინციპებთან - გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მოქალაქეთა ჩართულობა და ტექნოლოგია და ინოვაცია.

---

<sup>7</sup>ზელმისაწვდომია:

[http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/attachments/OGP%20ArticlesGov%20Final%20June%2011%202012\\_0.pdf](http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/attachments/OGP%20ArticlesGov%20Final%20June%2011%202012_0.pdf)

სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ბიუროკრატისაგან თავისუფალი, გამარტივებული და მომხმარებელზე ორიენტირებული საჯარო სერვისების სისტემის შექმნა ქართული ინოვაციის - იუსტიციის სახლების საშუალებით. საჯარო და კერძო სექტორის მომსახურების ხელმისაწვდომობა რეგიონულ ან მუნიციპალურ დონეზე გათვალისწინებულია ახალი საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმა აქცენტს აკეთებს ჯანდაცვის სისტემის რეფორმაზე, კერძოდ ახალი საავადმყოფოების აშენებასა და ჯანდაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის განვითარებაზე, რომელიც სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებებში არსებული მომსახურების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას სთავაზობს მომხმარებელს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **საჯარო მომსახურების გაუმჯობესების** კუთხით სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შემდეგ ინიციატივებს:

**ა. მომვლის საჯარო მომსახურება:**

- იუსტიციის სახლი: ყველაფერი ერთ სივრცეში;
- ელექტრონული მმართველობა ადგილობრივ თვითმმართველობებში;

**ბ. მოქალაქის პორტალი;**

**გ. ჯანდაცვის სფეროში მომსახურების გაუმჯობესება**

გადაწყვეტილების მიღების, კანონშემოქმედებით საქმიანობისა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის მიზნით, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მთელი რიგი ინოვაციური პროექტებისა, მათ შორისაა მოქალაქეთა მიერ პეტიციების წარდგენისა და კანონპროექტებზე კომენტარების გაკეთების შესაძლებლობა. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულებები უზრუნველყოფს ინფორმაციის თავისუფლების სფეროს დახვეწას, სხვადასხვა სახის ინფორმაციაზე, მათ შორის პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაზრდას. მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და მიმდინარე პროცესებში ჩართულობის გაზრდა შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულების მეშვეობითაც. ამასთანავე, არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობა და მათ მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი გათვალისწინებულია არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის შექმნის გზით.

შესაბამისად, საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდის გამოწვევის საპასუხოდ საქართველო იღებს შემდეგ ვალდებულებებს:

იყავი ინფორმირებული და განავითარე შენი ქვეყანა:

- ა. Ichange.ge; Data.gov.ge და საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება;
- ბ. კანონშემოქმედებით საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა;
- გ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
- დ. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა;
- ე. არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი.

საჯარო რესურსების უკეთესი მართვის გამოწვევის საპასუხოდ კი სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ ვალდებულებებს:

- ა. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა;
- ბ. ელექტრონული დეკლარაციები.

სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების გაზრდის პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და უსაფრთხო გარემოს შექმნის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ინიციატივებს, როგორცაა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის შექმნა, დანაშაულის ელექტრონული რუკის მომზადება, ასევე ადგილობრივ პროკურორებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთკავშირის სისტემის განვითარება:

ტექნოლოგია ზრუნავს უსაფრთხოებაზე:

- ა. სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა (ICCMS);
- ბ. დანაშაულის რუკა;
- გ. უსაფრთხო უბანი.

## VI. შესრულების მდგომარეობის შეფასება

ანგარიშის წინამდებარე თავი აფასებს სამოქმედო გეგმის შესრულების კუთხით 2012-2013 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ მიღწეულ პროგრესს, კერძოდ, ის ასახავს თითოეული ვალდებულების არსს, შესრულების ვადებსა და პასუხისმგებელ უწყებებს, ასევე მიმოიხილავს ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო გეგმებს.

### გამოწვევა I - საჯარო მომსახურების გაუმჯობესება

პოსტ-საბჭოთა საქართველოში საჯარო მომსახურება იყო მოშლილი, კორუმპირებული და ბიუროკრატიული ბარიერებით სავსე. სახელმწიფო რეესტრების სისტემა, იქნებოდა ეს დაბადების თუ ახალი ბიზნესის რეგისტრაცია, იყო ქაოტური და კორუმპირებული. საბჭოთა ეპოქის არქივებში ინახებოდა ხარვეზიანი ინფორმაცია. საკუთრების დასარეგისტრირებლად საჭირო იყო რამდენიმე დაწესებულებაში მისვლა ხელმოწერებისა თუ სანოტარო დამოწმებისათვის. სახელმწიფო უწყებებიდან პასუხის მისაღებად ხშირად ორი თვე იყო საჭირო. „პასპორტის ასაღებად მოქალაქე მიდიოდა ერთ დაწესებულებაში, იქიდან მას გზავნიდნენ მეორეში ბინადრობის ნებართვის ასაღებად, შემდეგ ის კვლავ პირველ დაწესებულებაში ბრუნდებოდა, სადაც დგებოდა რამდენიმე საათიან რიგში და საჯარო მოხელეს უხდიდა ქრთამს იმ სერვისის გაცემაში, რაც ამ უკანასკნელის მოვალეობას შეადგენდა“.<sup>8</sup>

საჯარო მომსახურების კონცეფცია თანამედროვე საქართველოში რადიკალურად შეიცვალა: კორუფცია აღმოიფხვრა, ამოქმედდა გამჭვირვალე და ბიზნესის ტიპის რეესტრები ახალი, კვალიფიციური და კარგად ანაზღაურებადი პერსონალით. საჯარო მომსახურების მისაღებად საჭირო დრომ საგრძნობლად იკლო. დაინერგა დახვეწილი საინფორმაციო ტექნოლოგიები. საჯარო მომსახურების გაუმჯობესების კუთხით სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ ოთხ ვალდებულებას:

1. იუსტიციის სახლი: ყველაფერი ერთ სივრცეში;
2. ელექტრონული მმართველობა ადგილობრივ თვითმმართველობებში;
3. მოქალაქის პორტალი;

<sup>8</sup> „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საჯარო სამსახურში: საქართველოს რეფორმების ქრონიკა“, 2012 წლის 31 იანვარი.

#### 4. ჯანდაცვის სფეროში მომსახურების გაუმჯობესება.

##### 1.1. იუსტიციის სახლი: ყველაფერი ერთ სივრცეში

###### სამოქმედო გეგმა

2011 წელს საქართველომ დაიწყო უპრეცედენტო კონცეფციის - იუსტიციის სახლის იმპლემენტაცია, რომელიც საჯარო სერვისის ქართული ბრენდია ([www.psh.gov.ge](http://www.psh.gov.ge)) და ემყარება პრინციპს: „ყველაფერი ერთ სივრცეში“. მართალია, 2003 წლის შემდეგ რეფორმირებული სახელმწიფო სააგენტოები ერთი სარკმლის პრინციპის საფუძველზე მუშაობდნენ, თუმცა მოქალაქეს მაინც რამდენიმე მათგანში უწევდა მისვლა და დროის დაკარგვა. ამიერიდან საქართველოს მოქალაქეებს მხოლოდ ერთ შენობაში მოუწევთ მისვლა - იუსტიციის სახლში.

იუსტიციის სახლის კონცეფციაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ბიზნეს მიდგომა. გაანალიზდა 215 ტიპის სერვისის პროცედურა, ახალი პროცედურები გაუმჯობესდა და სადაც შესაძლებელი იყო, ერთმანეთს დაუკავშირდა. საქართველოს მთავრობას მიაჩნია, რომ საჯარო მომსახურების პრინციპები არ უნდა განირჩეოდეს კერძო სექტორში მომსახურების პრინციპებისგან და ორიენტირებული უნდა იყოს სისწრაფეზე, ხარისხსა და სიმარტივეზე. იუსტიციის სახლი საქართველოს მოქალაქეებსა თუ უცხოელებს ერთ სივრცეში შესთავაზებს ნებისმიერ მომსახურებას, რაც ეხება პიროვნების სამოქალაქო დოკუმენტაციას, ბიზნესისა თუ ქონების რეგისტრაციას, არქივის მასალებს, ნოტარიუსის მომსახურებას და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. არსებულ სერვისებს მომავალში დაემატება მუნიციპალური მომსახურება, შემოსავლების სამსახურისა და მომსახურების სააგენტოს (მათ შორის ავტომობილის რეგისტრაცია და მართვის მოწმობა) სერვისები.

მუშავდება ორი ახალი პროექტი, რომლებიც ორიენტირებულია მოქალაქისათვის მაქსიმალურად კომფორტული სერვისის შეთავაზებაზე, ესენია: *Just Drive* და *Just Café*, სადაც მოქალაქე მანქანიდან გადასვლის გარეშე მიიღებს მომსახურებას ან დაელოდება ასაღები დოკუმენტის დამზადებას კაფეში.

**ქრონოლოგია:** 2012 წელს დაგეგმილია იუსტიციის სახლების დაფუძნება დამატებით რვა

ქალაქში. 2013 წელს გაიხსნება კიდევ ოთხი იუსტიციის სახლი, რაც ჯამში შეადგენს 16 იუსტიციის სახლს ქვეყნის მასშტაბით.

**პასუხისმგებელი ორგანო:** იუსტიციის სამინისტრო

**OGP გამოწვევა:** საჯარო მომსახურების გაუმჯობესება

**OGP ღირებულება:** ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; ტექნოლოგია და ინოვაცია

**შეფასება:** უმეტესად შესრულდა

#### ვალდებულების შესრულების შეფასება

2012 წელს გაიხსნა 8 ახალი იუსტიციის სახლი თელავში, მარნეულში, ყვარელში, ოზურგეთში, გორში, ახალციხეში, გურჯაანსა და ბოლოს კი, მათ შორის ყველაზე მასშტაბური, თბილისში. შესაბამისად, სულ აშენებულია 12 იუსტიციის სახლი, ხოლო მე-13 სახლის აშენება იგეგმება 2014 წელს.

გაიზარდა სერვისების რაოდენობა და მათი დიდი ნაწილი ხელმისაწვდომია ონლაინ.

იუსტიციის სახლის შენობის ღია სივრცე, ლოდინისათვის განკუთვნილი

*თბილისის იუსტიციის სახლის კაფე მომხმარებელს სთავაზობს კომფორტულ მომსახურებას: ფინჯან ყავასთან ერთად აქ შესაძლებელია სასურველი სერვისის მიღება*

კომფორტული გარემო, კომპეტენტური და მეგობრული მომსახურე პერსონალი, პროფესიონალურად და მოკლე დროში გაწეული მომსახურებით ქმნის იუსტიციის სახლების კონცეფციის მთავარ მახასიათებლებს.

ერთი შენობის ფარგლებში იუსტიციის სახლი საქართველოს მოქალაქეებსა და უცხოელ პირებს ყოველდღიურად 300-ზე მეტ საჯარო მომსახურებას სთავაზობს. საანგარიშო პერიოდში, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან თანამშრომლობით იუსტიციის სახლმა მოახდინა სერვისების მოქალაქის პორტალზე – [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge) ინტეგრირება.<sup>9</sup>

<sup>9</sup> იხ. სამოქმედო გეგმის ვალდებულება „მოქალაქის პორტალი“, გვ. 20.

2012 წლიდან თბილისის იუსტიციის სახლში განთავსებულია კომფორტული კაფე, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ფინჯანი ყავისა თუ კერძების დაგემოვნებასთან ერთად ისარგებლოს იუსტიციის სახლის მომსახურებით - გააკეთოს განაცხადი ID ბარათის, პასპორტის ასაღებად, ქონების ან კომპანიის რეგისტრაციის შესახებ.

2012-2013 წლებში იუსტიციის სახლები მოემსახურნენ 5, 004, 053 მომხმარებელს საშუალოდ 5 წუთიანი მოლოდინის პერიოდითა და 6-7 წუთიანი მომსახურების ხანგრძლივობით. ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის ფარგლებში, თბილისის იუსტიციის სახლი წარმოადგენს

*იუსტიციის სახლმა მიიღო გაეროს ჯილდო კატეგორიაში – საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, რაც საჯარო მომსახურების სფეროს ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული შეფასებაა.*

საჯარო მომსახურების ყველაზე მსხილ მიმწოდებელს, რომელიც დღეში 8000-მდე მომხმარებელს ემსახურება.

2013 წელს იუსტიციის სახლმა მიიღო გაეროს საჯარო მომსახურების ჯილდო კატეგორიაში - *საჯარო მომსახურების*

*გაუმჯობესება*, რაც საჯარო მომსახურების ეფექტიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული შეფასებაა.

ზემოაღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, რომ ახალი იუსტიციის სახლების შექმნასა და ინოვაციური პროექტის - JUST Café განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებები შესრულდა. თუმცა, აშენებული იუსტიციის სახლების რაოდენობა არ შეადგენს 16-ს. ამასთანავე, მუშაობა პროექტზე - Just Drive ამჟამად მიმდინარეობს და პროექტის დასრულება იგეგმება 2014 წლის მეორე ნახევარში. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის აღნიშნული ვალდებულება შეფასდა, როგორც **უმეტესად შესრულებული**.

#### **მიმდინარე/დაგეგმილი აქტივობები**

საქართველოს საჯარო მომსახურების უნიკალური კონცეფციის შედგომი განვითარების მიზნით, დაგეგმილია შემდეგი ნაბიჯები:

- **JUSTdrive** – თბილისის იუსტიციის სახლი საზოგადოებას შესთავაზებს ახალ სერვისს, რომლის საშუალებითაც მომხმარებელი ავტომობილიდან გადმოუსვლელად შეძლებს



მიიღოს სხვადასხვა სერვისი იუსტიციის სახლის გარე ტერიტორიაზე მოწყობილი მომსახურების ფანჯრიდან.

- **ახალი სერვისების დამატება** - იუსტიციის სახლი გეგმავს, მომხმარებელს შესთავაზოს კერძო და სახელმწიფო უწყებების ახალი სერვისები. მაგალითად: თუ მომხმარებელს სურს საზღვარგარეთ წასვლა და იუსტიციის სახლში ავსებს განაცხადს პასპორტის მოთხოვნაზე, მას აქვე მიეცემა საშუალება ისარგებლოს სამოგზაურო დაზღვევის სერვისებითაც.
- **კომუნიკაცია მომხმარებელთა საჭიროებისთვის** - ახალი სისტემის მეშვეობით მომხმარებელი შეძლებს დაამყაროს უკუკავშირი იუსტიციის სახლის მენეჯმენტთან და აცნობოს მათ იმ სერვისების შესახებ, რომელთა დამატებასაც ისურვებდა იუსტიციის სახლის სივრცეში.
- **ქართული ინოვაცია და საერთაშორისო დაინტერესება** - ქართული ინოვაციისადმი ინტერესი ყოველდღიურად იზრდება. 2011 წელს, პირველი იუსტიციის სახლის გახსნის დღიდან დღემდე იუსტიციის სახლმა მსოფლიოს 50 ქვეყნის 700-მდე სხვადასხვა რანგის დელეგაციას უმასპინძლა. დელეგატთა საერთო რაოდენობა 7000-ს აღემატება. შესაბამისად, იუსტიციის სახლი გეგმავს შემხვედრი ნაბიჯით უპასუხოს საერთაშორისო დაინტერესებას იუსტიციის სახლის კონცეფციასთან დაკავშირებით და განახორციელოს კონცეფციის ექსპორტი, გამოცდილების გაზიარება და მხარდაჭერა ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელიც სურვილს გამოთქვამს შექმნას იუსტიციის სახლის კონცეფციის სტრუქტურა.

## 1.2. ელექტრონული მმართველობა ადგილობრივ თვითმმართველობებში

### საქმედო გეგმა

საქართველოს მიზანია მოქალაქეებს ჰქონდეთ წვდომა ინოვაციურ საჯარო სერვისებზე როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე, პატარა სოფლებშიც კი. შესაბამისად, საქართველო იღებს შემდეგ ვალდებულებებს:

ა) მუნიციპალიტეტები თანდათანობით ჩაერთვებიან ელექტრონული მმართველობის სისტემაში. ისინი გააუმჯობესებენ მენეჯმენტსა და მომსახურებას გამარტივებული პროცედურების დანერგვით. გარდა ამისა, მათ ექნებათ პირდაპირი წვდომა სხვადასხვა მონაცემთა ბაზაზე.

ბ) სოფლის განვითარების ცენტრები აშენდება შედარებით მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე შორეულ სოფლებში. ეს არის ახალი კონცეფცია, რომელიც მოსახლეობას შესთავაზებს როგორც ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების, ასევე კერძო სექტორის მნიშვნელოვან სერვისებს.

**ქრონოლოგია:** იმპლემენტაცია მიმდინარეობს და გაგრძელდება მომავალი ორი წლის განმავლობაში.

**პასუხისმგებელი ორგანო:** სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

**OGP გამოწვევა:** საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა

**OGP ღირებულება:** ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; მოქალაქეთა ჩართულობა

**შეფასება:** ნაწილობრივ შესრულდა

### ვალდებულების შესრულების შეფასება

ვალდებულების შესრულების პირველ ეტაპს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტების ინტეგრირება ელექტრონული მმართველობის სისტემაში. ამ მიმართულებით ხელისუფლების მიერ არაერთი ნაბიჯი გადაიდგა. შერჩეულ იქნა საპილოტე მუნიციპალიტეტები, მოხდა საპილოტე სერვისების იდენტიფიცირება, შემუშავდა შესაბამისი პროგრამა, რომლის სატესტო ვერსიაც დაინერგა, სრულად კი 2014 წელს ამოქმედდა.

ვალდებულების შესრულების მეორე ეტაპზე, 2012-2013 წლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაიხსნა თორმეტი საზოგადოებრივი ცენტრი რეგიონალურ დონეზე.

სოფლის განვითარების ცენტრებში ხელმისაწვდომია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ისევე როგორც კერძო სექტორის სერვისები. სოფლის განვითარების ცენტრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისითაც. ცენტრები აღჭურვილია კომპიუტერებით, ვიდეო კონფერენციისათვის საჭირო მოწყობილობებით, ბანკომატებით. თითოეულ ცენტრს ემსახურება გადამზადებული, კვალიფიციური კადრები, რომლებიც მზად არიან დაეხმარონ მოქალაქეებს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სხვა სასურველი პროგრამის გამოყენებაში.

სერვისების განვითარების სააგენტომ 2013 წელს შეიმუშავა საზოგადოებრივი ცენტრების განვითარების სტრატეგია 2013-2014 წლებისათვის. სტრატეგიის მიზანია გამოავლინოს ის ძირითადი ამოცანები, რომელთა დაგეგმვა და განხორციელება უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცენტრის მისიის განხორციელებას და მის დახვეწას, რათა გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში რეგიონულ დონეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდის პირველი ეტაპი ნაწილობრივ, მეორე ეტაპი კი უმეტესად შესრულდა. შესაბამისად ვალდებულება **ნაწილობრივ შესრულებულია.**

#### **მიმდინარე/დაგეგმილი აქტივობები**

რეგიონულ დონეზე ინოვაციურ საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სხვადასხვა პროცესებში მოქალაქეთა მეტი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, სერვისების განვითარების სააგენტოს სამომავლო გეგმებს შორისაა:

- დამატებითი საზოგადოებრივი ცენტრების შექმნა;
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობა რეგიონულ დონეზე მეტი ელექტრონული სერვისის ინტეგრირების მიზნით;
- ბიბლიოთეკების ტრადიციული ფუნქციებისა და საზოგადოებრივი ცენტრების ფუნქციების შერწყმა;
- ცენტრების საჭირო ტექნიკით აღჭურვა;

- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება საზოგადოებრივი ცენტრებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ;
- საინფორმაციო პორტალი - E-Village-ის შექმნა, რაც გულისხმობს სოფლის დონეზე ხელმისაწვდომ, დინამიურ, ინტერაქტიულ, განახლებად, ერთიან საინფორმაციო წყაროს, რომლის საშუალებითაც ადგილობრივი მოსახლეობა იღებს ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე და დაგეგმილი მოვლენების შესახებ;
- საზოგადოებრივი ცენტრების კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება.

### 1.3. მოქალაქის პორტალი

#### სამოქმედო გეგმა

საჯარო მომსახურების მიღება შესაძლებელი იქნება ონლაინ. საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის შეიქმნება ინდივიდუალური ვებ-სივრცე, სადაც მოქალაქე საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მოახდენს ID ბარათით და ელექტრონულად შეძლებს საჯარო მომსახურების მიღებას.

**ქრონოლოგია:** მოქალაქის პორტალი ამოქმედდება 2013 წლისთვის.

**პასუხისმგებელი ორგანო:** საქართველოს მონაცემთა გაცვლის სააგენტო

**OGP გამოწვევა:** საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; საჯარო რესურსების უკეთესი მართვა

**OGP ღირებულება:** ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; მოქალაქეთა ჩართულობა; ტექნოლოგია და ინოვაცია

**შეფასება:** სრულად შესრულდა

#### ვალდებულების შესრულების შეფასება

მოქალაქის პორტალის [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)-ის მთავარი მიზანია, საჯარო სერვისები და ინფორმაცია გახადოს მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომი, გაამარტივოს შესაბამისი პროცედურები, გაზარდოს მომსახურების

*2013 წლის სექტემბერში მოქალაქის პორტალზე მოხდა 50-მდე სახელმწიფო სერვისისა და 80-მდე კომუნალური გადასახადის ინტეგრირება*

სტანდარტები და უზრუნველყოს სახელმწიფო უწყებათა ეფექტიანობა. პორტალი ერთ სივრცეში აერთიანებს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის სრულიად განსხვავებულ სერვისებს, რაც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

მოქალაქის პორტალი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ამოქმედდა 2012 წლის მაისიდან. 2013 წლის სექტემბერში მოქალაქის პორტალზე მოხდა 50-მდე სახელმწიფო სერვისისა და 80-მდე კომუნალური გადასახადის ინტეგრირება. პორტალს ასევე დაემატა ბიზნესის ონლაინ რეგისტრაციის მოდული, რაც მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევს დაარეგისტრიროს ბიზნესი ონლაინ და აქვე მიიღოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

გარდა ამისა, პორტალის ინოვაციას წარმოადგენს საჯარო ორგანიზაციებთან ელექტრონული კომუნიკაციის სერვისი, რომელიც 2013 წლის სექტემბერში ამოქმედდა. ეს უკანასკნელი მოქალაქეს საშუალებას აძლევს საჯარო ორგანიზაციაში (60-მდე ორგანიზაცია, სადაც დღეს დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოება) ელექტრონულად გააგზავნოს ნებისმიერი სახის წერილი, მოთხოვნა და ელექტრონულადვე მიიღოს შესაბამისი პასუხი.

ზემოაღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქალაქის პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობას და აღნიშნულის ელექტრონული ფორმით გამოთხოვას, საანგარიშო პერიოდის ფარგლებში წარმატებით დაინერგა და განვითარდა. შესაბამისად, ვალდებულება **სრულად შესრულდა.**

### **მიმდინარე/დაგეგმილი აქტივობები**

აღნიშნულ ვალდებულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ სამომავლო ნაბიჯებად განსაზღვრულია:

- გაიზარდოს ელექტრონული სერვისების რიცხვი, რომელთა შორისაა ჯანდაცვისა და განათლების სერვისები;
- მოქალაქის პორტალისთვის შეიქმნას საჯარო სერვისების კატალოგი;
- საჯარო და კერძო სექტორში მოხდეს პროფესიონალთა გადამზადება ახალი სერვისების პორტალზე ინტეგრაციის შესახებ;
- თანამშრომლობა შედგეს მეტ კერძო სექტორის წარმომადგენელთან (როგორცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ.) დამატებითი სერვისების პორტალზე ინტეგრირების მიზნით;

- სახელმწიფო სტრუქტურების ელექტრონული საქმისწარმოების სისტემები სრულად ინტეგრირდეს მოქალაქის პორტალზე;
- სახალხო კამპანიის მეშვეობით ამაღლდეს მოქალაქეთა ცნობიერება my.gov.ge-სა და მისი გამოყენების შესახებ;

#### 1.4. ჯანდაცვის სფეროში მომსახურების გაუმჯობესება

##### სამოქმედო გეგმა

საქართველო ატარებს მასშტაბურ რეფორმებს ჯანდაცვის სფეროში, რომლის ფარგლებშიც საქართველო იღებს ვალდებულებას, 2014 წლისათვის, ქვეყნის მასშტაბით, ექსპლუატაციაში შევა 150 ახლადშექმნილი და/ან რეაბილიტირებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო დაწესებულება, რაც ჩაანაცვლებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 600-მდე ძველ, ამორტიზებულ და არაფუნქციონირებად სამედიცინო ობიექტს.

შექმნილია ჯანდაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა - <http://ehealth.moh.gov.ge>, რომელიც მოქალაქეებს მიაწვდის ჯანდაცვის სხადასხვა დაწესებულებაში არსებული სერვისების შესახებ სრულ შინაარსობრივ და პრაქტიკულ ინფორმაციას:

**ქრონოლოგია:** იმპლემენტაცია მიმდინარეობს და გაგრძელდება მომავალი ორი წლის განმავლობაში.

**პასუხისმგებელი ორგანო:** შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

**OGP გამოწვევა:** საჯარო სერვისების გაუმჯობესება

**OGP ღირებულება:** ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

**შეფასება:** ნაწილობრივ შესრულდა

##### ვალდებულების შესრულების შეფასება

ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (ჯანდაცვის სამინისტრო) მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები კრიტიკულ საკითხებთან დაკავშირებით, განსაზღვროს ანგარიშგებისა და რეალურ დროში ინფორმაციის გაცვლის სტანდარტები,

უზრუნველყოს სენსიტიური და პაციენტის შესახებ ინფორმაციის უსაფრთხოება და კონფიდენციალურობის დაცვა.

ერთიანი სისტემის შექმნის ინიციატივა გაჩნდა 2011 წელს, ჯანდაცვის სამინისტროს ინტენსიური მუშაობის შედეგად კი, 2012 წლის მარტში, ერთიანი საინფორმაციო სისტემის პირველი მოდული წარმატებით ამოქმედდა. 2013 წლის სექტემბრისთვის ჯანდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე [www.ehealth.moh.gov.ge](http://www.ehealth.moh.gov.ge) ამოქმედდა 23 ახალი მოდული. დაგეგმვის ეტაპზეა სამედიცინო სერვისებით მოსარგებლეთა რეგისტრაციის ანტენატალური მომსახურების მოდული, ელექტრონული სამედიცინო ისტორიების მოდული, ელექტრონული სამედიცინო სერვისებისა და ფარმაცევტული პროდუქტების ელექტრონული რეგისტრაციის მოდული.

ამ ეტაპზე სისტემა ერთმანეთთან აკავშირებს ჯანდაცვის სექტორის ისეთ მთავარ მოთამაშეებს, როგორცაა ჯანდაცვის სამინისტრო, სადაზღვევო და ფარმაცევტული ინდუსტრიები, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები, მოსახლეობა და სხვადასხვა სამთავრობო უწყება. მთავრობასა და სხვა დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა დროულად მიიღონ ზუსტი ინფორმაცია და იმოქმედონ შესაბამისად.

რაც შეეხება 150 ახალი და თანამედროვედ აღჭურვილი საავადმყოფოს მშენებლობას, 2013 წლის სექტემბრის მდგომარეობით აშენებულია 51 სამედიცინო ცენტრი, 4 ცენტრის მშენებლობა კი მიმდინარეობს.

ზემოაღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, რომ ვალდებულების პირველი ნაწილი, რომელიც ეხება ჯანდაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნას, სრულად ვერ შესრულდა და საჭიროებს დამატებით მუშაობას. რაც შეეხება ახალ სამედიცინო ცენტრებს, 2012-2013 წლებში მხოლოდ 51 ამოქმედდა. შესაბამისად ვალდებულება **ნაწილობრივ შესრულებულია.**

### **მიმდინარე/დაგეგმილი აქტივობები**

ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შემდგომი განვითარება შექმნის დახვეწილ ბაზას სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გონივრული ანალიზისთვის, გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, გააძლიერებს ჯანდაცვის სამინისტროს როლს სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ორგანიზაციული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობისა და სისტემის მუშაობის შეფასების თვალსაზრისით.

ჯანდაცვის სამინისტრო გეგმავს დარჩენილი 4 მოდულის (სამედიცინო სერვისებით მოსარგებლეთა რეგისტრაციის ანტენატალური მომსახურების მოდული, ელექტრონული სამედიცინო ისტორიების მოდული, ელექტრონული სამედიცინო სერვისებისა და ფარმაცევტული პროდუქტების ელექტრონული რეგისტრაციის მოდული) 2014 წელს ამუშავებას.

გარდა ამისა, ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში განხილულ იქნება თუ რამდენად შესაბამეა აღნიშნული ვალდებულება OGP-ს გამოწვევებსა და ღირებულებებს. შესაბამისად, მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას ვალდებულების ახალ სამოქმედო გეგმაში გადატანასთან დაკავშირებით.

## **გამოწვევა II - საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა**

### **იყავი ინფორმირებული და განავითარე შენი ქვეყანა**

საქართველოს მთავრობამ მეორე გამოწვევის ფარგლებში, მიზნად დაისახა მნიშვნელოვნად გაეზარდა მოქალაქის მონაწილეობის შესაძლებლობები აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში. ამ მიმართულებით მთავრობის გეგმები მოიცავს:

1. Data.gov.ge, Ichange.ge და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას;
2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დახვეწას;
3. პოლიტიკური პარტიების ფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას;
4. საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობას;
5. არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის შექმნას.

#### **2.1. DATA.GOV.GE, ICHANGE.GE; საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება;**

##### **სამოქმედო გეგმა**

კარგად ინფორმირებული მოქალაქე ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. შესაბამისად, იგეგმება საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება საჯარო დაწესებულებათა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

შეიქმნება საჯარო ინფორმაციის ერთიანი მონაცემთა ბაზა: [data.gov.ge](http://data.gov.ge), რომელზეც თემატური სექციების ქვეშ განთავსდება საჯარო ინფორმაცია. ამავე ვებ-გვერდზე მოქალაქეები შეძლებენ ელექტრონული ფორმით გამოითხოვონ საჯარო ინფორმაცია. პროექტის მთავარი



მიზანია, მოქალაქეებს გაუმარტივდეს სხვადასხვა უწყების მიერ განთავსებული ინფორმაციის მოპოვება, სწორედ ამიტომ იგეგმება ყველაფერი ხელმისაწვდომი იყოს ერთ ვებ-გვერდზე.

სახელმწიფო იმედოვნებს, რომ ინფორმაციის მიღების გზების გაიოლება ხელს შეუწყობს ახალ იდეებსა თუ დისკუსიებს და შესაძლებლობას შექმნის განხორციელდეს ახალი ცვლილებები ქვეყანაში. ამ მიზნით, შეიქმნება მოქალაქის პორტალი: **[ichange.ge](http://ichange.ge)**, პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები შეძლებენ საკუთარი აზრის, კრიტიკის, იდეის დაფიქსირებას. მოქალაქის პლატფორმაზე იმუშავებს საჯარო მოხელეთა სპეციალურად დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც ვებ-გვერდზე მიღებულ ყველაზე განხილვად იდეებსა და პრობლემებს შესაბამის უწყებებს მიაწვდის. პლატფორმაზე შესაძლებელი იქნება განთავსდეს ელექტრონული პეტიცია, რომელიც, დადგენილი ოდენობის მოქალაქის ხელმოწერის შემთხვევაში (სავალდებულო ოდენობა დამოკიდებულია საკითხის მნიშვნელობასა და მასშტაბზე), სავალდებულო იქნება განსახილველად.

**ქრონოლოგია:** პროაქტიული გამოქვეყნება დაიწყო 2012 წელს რამდენიმე უწყებაში, 2014 წლისათვის კი დაფარავს სხვა საჯარო დაწესებულებებს. [data.gov.ge](http://data.gov.ge) და [ichange.ge](http://ichange.ge) ამოქმედდება 2013 წელს.

**პასუხისმგებელი ორგანო:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

**OGP გამოწვევა:** საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა

**OGP ღირებულება:** ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; მოქალაქეთა ჩართულობა; ანგარიშვალდებულება; ტექნოლოგია და ინოვაცია

**შეფასება:** ნაწილობრივ შესრულდა

#### ვალდებულების შესრულების შეფასება

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

საქართველოს კანონმდებლობა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ლიბერალურია და ადმინისტრაციული ორგანოებისთვის აწესებს ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტს. კანონმდებლობის თანახმად მოქალაქემ არაუგვიანეს 10 დღისა უნდა მიიღოს საჯარო

დაწესებულებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია. აღნიშნული ვადა ერთ-ერთი უმოკლესია მსოფლიოს მასშტაბით.

აღებული ვალდებულების შესაბამისად, 2012 წლიდან სავალდებულოა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და ელექტრონულად გამოთხოვისთვის საჭირო მექანიზმის შემუშავება. შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში 2013 წლის პირველ სექტემბერს შევიდა.

---

*საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოთხოვა შესაძლებელია 60 საჯარო დაწესებულებიდან*

---

2013 წლის 9 ივლისს №775 საქართველოს მთავრობამ მიიღო „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“ განკარგულება. აღნიშნულის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს დაევა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის პროექტის შემუშავება და მთავრობისათვის წარდგენა. იუსტიციის სამინისტრომ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, შეიმუშავა დადგენილების პროექტი „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და ელექტრონული გამოთხოვა“, რომელიც წარედგინა საქართველოს მთავრობას. დადგენილება ძალაში შევიდა 2013 წლის პირველ სექტემბერს. იგი ადგენს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტებს და აწესებს მოთხოვნებს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის რეგისტრაციისთვის საჭირო სისტემის შესაქმნელად. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა თან ერთვის მთავრობის დადგენილება.

მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი ადმინისტრაციული ორგანოები, მთავრობის კანცელარია, სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვა რელევანტური დაწესებულებები არიან შებოჭილი აღნიშნული დადგენილებით. სხვა სახელმწიფო სტრუქტურები და დამოუკიდებელი ორგანოები, როგორცაა პარლამენტი, სახალხო დამცველის ოფისი, საჯარო სამსახურის ბიურო, ვალდებულნი არიან თავად განსაზღვრონ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოთხოვისა და გამოქვეყნების სტანდარტები.

2013 წელს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ მოქალაქის პორტალს დაამატა ელექტრონული კომუნიკაციის მოდული.<sup>10</sup>

- **Data.gov.ge**

data.gov.ge-ს განვითარება ინიცირებულ იქნა მთავრობის მიერ 2012 წლის დასაწყისში. გაიმართა რიგი შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, 2012 წლის ოქტომბრისთვის კი გამოზადდა შესაბამისი ვებ-გვერდი - [www.data.gov.ge](http://www.data.gov.ge); თუმცა დარჩენილია მნიშვნელოვანი სამუშაო, რათა სრული დატვირთვით იფუნქციონიროს ვებ-გვერდმა. მთავრობის გადაწყვეტილებით აღნიშნული ვალდებულება რჩება ახალი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტად.

- **Ichange.ge**

გეგმის თანახმად, ichange.ge-ის ამოქმედება 2013 წლისათვის იყო დაგეგმილი, მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით უმნიშვნელო ცვლილებებს ჰქონდა ადგილი. აღნიშნული კომპლექსური პროექტია, რომელიც სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ შესრულდა, ამ პროექტის საჭიროებას არაერთხელ გაესვა ხაზი.

როგორც წინამდებარე შეფასების ანგარიშშია მოცემული, ვალდებულების პირველი ეტაპი, რომელიც საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას ეხებოდა, სრულად შესრულდა. რაც შეეხება data.gov.ge-სა და ichange.ge-ის, მათ შესასრულებლად საჭიროა დამატებითი სამუშაოს გაწევა, შესაბამისად მთავრობის შეფასებით ვალდებულება **ნაწილობრივ შესრულდა.**

### **მიმდინარე/დაგეგმილი აქტივობები**

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით დაიწყო ღია მონაცემთა პორტალის განვითარების პროცესი, რომელიც მოიცავს შესაბამისი ვებ-გვერდის კონცეფციასა და განვითარების ეტაპებზე მუშაობას. სამუშაო გეგმა ასევე ითვალისწინებს ღია მონაცემთა შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

---

<sup>10</sup> იხილეთ ვალდებულება „მოქალაქის პორტალი“, გვ. 20.

რაც შეეხება Ichange.ge-ის, მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლებისთვის მთავრობის მიერ დამტკიცებულ 9 პრიორიტეტს შორის ერთ-ერთია. Ichange.ge-ის მნიშვნელობა ხაზგასმულია ასევე მოსაზრებებში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მექანიზმების შესახებ, რომელიც მომზადდა იუსტიციის სამინისტროს მიერ და საქართველოს მთავრობას წარედგინა 2013 წელს.

## 2.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

### სამოქმედო გეგმა

2011 წლიდან საქართველოში ამოქმედდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. პირველად ქვეყნის ისტორიაში მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ თავად მიიღონ მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში. ამჟამად ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს მხოლოდ დედაქალაქში და ერთ დანაშაულთან მიმართებით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში). იგეგმება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გეოგრაფიული არეალისა და მოქმედების სფეროს გაზრდა.

**ქრონოლოგია:** იმპლემენტაცია მიმდინარეობს და გაგრძელდება მომდევნო ორი წლის განმავლობაში.

**პასუხისმგებელი ორგანო:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

**OGP გამოწვევა:** საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა

**OGP ღირებულება:** ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; მოქალაქეთა ჩართულობა

**შეფასება:** სრულად შესრულებული

### ვალდებულების შესრულების შეფასება

2013 წლამდე, ვიდრე საქართველოში განხორციელდებოდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ტერიტორიული და საგნობრივი განსჯადობა შეზღუდული იყო. იგი იმართებოდა მხოლოდ თბილისში და განიხილავდა მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის დანაშაულს (სსკ 109-ე მუხლი). 2013

წლის 18 იანვრიდან ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის მიხედვით ნაფიც მსაჯულთა ტერიტორიული განსჯადობა გავრცელდა ქუთაისსა და ბათუმის სასამართლოებზეც.

2012 წელს გაფართოვდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საგნობრივი იურისდიქცია და მოიცვა სისხლის სამართლის კოდექსის 110-114 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.<sup>11</sup> გარდა ამისა, 2013 წლის იანვარში გაფართოვდა დანაშაულის სპეციალური სუბიექტის მიხედვით განსაზღვრული ნაფიც მსაჯულთა იურისდიქცია და მოიცვა საჯარო მოხელეები და მათთან გათანაბრებული პირები. 2012-2013 წლებში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულ იქნა 5 საქმე.

მაშასადამე, ტერიტორიული და საგნობრივი იურისდიქციის გაფართოვებით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება მთავრობის მიერ **სრულად შესრულდა**.

### მიმდინარე/დაგეგმილი აქტივობები

საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს განაგრძოს რეფორმების პროცესი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებთან დაკავშირებით, რათა გადაწყვეტილებების მიღების პროცესი გახდეს მეტად გამჭვირვალე და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოთხოვნებთან შესაბამისი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პროცესი აღარ გაგრძელდება ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ვინაიდან არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების რეკომენდაციების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა კომპონენტი არ პასუხობს პარტნიორობის 5 დიდ გამოწვევას. შესაბამისად, საქართველო განაგრძობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმას სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში.

### 2.3. პოლიტიკური პარტიების ფინანსური გამჭვირვალობა

#### სამოქმედო გეგმა

2011 წლის ბოლოს მიღებულ იქნა კანონმდებლობა, რომელიც ადგენს პოლიტიკურ პარტიათა

<sup>11</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 110 (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით), მუხლი 111 (განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში), მუხლი 112 (დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა), მუხლი 113 (მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით), მუხლი 114 (მკვლელობა დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით).

დაფინანსების გამჭვირვალობის სტანდარტებს და მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას იცოდნენ, თუ როგორ ფინანსდება სხვადასხვა პოლიტიკური პარტია. ახალი კანონი მოწონებულ იქნა ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის მიერ.

სფეროს დახვეწის მიზნით, საქართველო იღებს ვალდებულებას შექმნას სისტემა, სადაც განთავსდება პოლიტიკურ პარტიათა ფინანსური დეკლარაციები და ინფორმაცია მათი დამფინანსებლების შესახებ.

**ქრონოლოგია:** იმპლემენტაცია დაიწყო 2012 წელს და გაგრძელდება მომდევნო ორი წლის განმავლობაში.

**პასუხისმგებელი ორგანო:** სახელმწიფო აუდიტის სამსახური

**OGP გამოწვევა:** საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა

**OGP ღირებულება:** ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; ანგარიშვალდებულება

**შეფასება:** სრულად შესრულებული

### ვალდებულების შესრულების შეფასება

2012 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომელიც პასუხისმგებელია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფაზე, შეიმუშავა პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების ყოველწლიური ანგარიშგების სტანდარტული ფორმა.

ყოველწლიური ანგარიშის ფორმა მოიცავს დეტალურ ინფორმაციას პოლიტიკური პარტიის შემოსავლის (საწევრო გადასახადი, პარტიის წევრთა ვინაობა, შემოწირულობის ოდენობა, ინფორმაცია დონორთა შესახებ), სახელმწიფოსგან მიღებული თანხის, გამომცემლობებისა და სხვა აქტივობებით მიღებული შემოსავლის, დანახარჯის (საარჩევნო ხარჯები, სახელფასო ხარჯები და სხვა.) და ქონების (სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და ტიპი, უძრავი ქონება, მათი საერთო ღირებულება და საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის საერთო ოდენობა) შესახებ. კანონმდებლობის თანახმად, დეკლარაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარედგინება ყოველი წლის პირველ თებერვალს. 2013 წლის მონაცემებით 60-მა პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა დეკლარაცია.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სახელმწიფო აუდიტის მიერ ყოველწლიური ფინანსური დეკლარაციის სტანდარტის შემუშავებითა და აღნიშნულის შესაბამის ვებ-

გვერდზე გამოქვეყნებით, სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულება **სრულად შესრულდა.**

#### **მიმდინარე/დაგეგმილი აქტივობები**

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება ღია გამხდარიყო ინფორმაცია პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციებისა და დამფინანსებლების შესახებ სრულად შესრულდა საქართველოს აუდიტის სამსახურის მიერ. დაგეგმილია დეკლარაციების განთავსება დამუშავებად ფორმატში (excel ნაცვლად pdf-ისა).

#### **2.4. საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელების პროცესში მონაწილეობა**

##### **სამოქმედო გეგმა**

საქართველოს „საკანონმდებლო მაცნის“ ვებ-გვერდის ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)) სპეციალური მოდულის მეშვეობით მოქალაქეებს მიეცემა შესაძლებლობა ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის ან კანონპროექტის ნებისმიერ მუხლთან დაკავშირებით დაწერონ კომენტარი, გამოთქვან კრიტიკა, შეფასებები ან სახელმწიფოს შესთავაზონ უკეთესი რეგულირება. საკანონმდებლო მაცნის ვებ-გვერდზე, ასევე, მოხდება პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებების ელექტრონული დაკავშირება შესაბამისი საკანონმდებლო აქტის მუხლებთან.

სამართალშემოქმედების სპეციალური გუნდი იუსტიციის სამინისტროში იმუშავებს ვებ-გვერდზე და მოახდენს პრობლემებისა და პრიორიტეტული თემების იდენტიფიცირებას. საჭიროების შემთხვევაში, იგივე გუნდი მოამზადებს საკანონმდებლო ინიციატივებს საქართველოს პარლამენტისთვის.

**ქრონოლოგია:** იმპლემენტაცია მოხდება 2012 წელს.

**პასუხისმგებელი ორგანო:** საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

**OGP გამოწვევა:** საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა; საჯარო რესურსების უკეთესი მართვა

**OGP ღირებულება:** ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; მოქალაქეთა ჩართულობა; ტექნოლოგია და ინოვაცია

**შეფასება:** ნაწილობრივ შესრულდა

## ვალდებულების შესრულების შეფასება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა რათა მოქალაქეებს სრულად ესარგებლათ ონლაინ სივრცეში განთავსებული ნორმატიული მასალით. 2013 წლის იანვრიდან [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)-ის რეგისტრირებულ მომხმარებელს ყოველგვარი საფასურის გარეშე აქვს წვდომა ვებ-გვერდზე განთავსებულ ნორმატიულ მასალაზე.<sup>12</sup> ამასთან, 2013 წელს ვებ-გვერდი გახდა სამენოვანი, - ნორმატიული მასალა ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

გარდა ამისა, გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლებისა და მოქალაქეთა საკანონმდებლო პროცესებში მათქმალური ჩართვის მიზნით, 2012 წელს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე ამოქმედდა ელექტრონული დემოკრატიის პროექტი. ნებისმიერ მომხმარებელს, რომელიც რეგისტრაციას გაივლის ელექტრონული ფოსტის მითითებით, აქვს შესაძლებლობა არამხოლოდ დატოვოს კომენტარი სამართლებრივ აქტზე და იხილოს სხვა მომხმარებელთა მიერ დატოვებული კომენტარები, არამედ გახსნას სადისკუსიო თემა ვებ-გვერდზე.

2012 წლიდან მაცნეს ვებ-გვერდზე რეგისტრირებულია 30810 მომხმარებელი და დაფიქსირებულია 500-ზე მეტი კომენტარი. კომენტარების მოდული წარმატებით იქნა გამოყენებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შრომის კოდექსის რეფორმის პროცესში. ახლა უკვე მომხმარებელს საშუალება აქვს სპეციალური საძიებო პარამეტრებით მოახდინოს კომენტარების სორტირება თარიღის, მიმღების, დოკუმენტის სათაურის, დოკუმენტის ნომრის და ა.შ. მიხედვით.

რაც შეეხება ვალდებულების მეორე ნაწილს, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებების ელექტრონულად დაკავშირება შესაბამისი საკანონმდებლო აქტის მუხლებთან - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ შესრულებულა. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ვებ-გვერდი კარგად მუშაობს, დამატებითი სამუშაოა გასაწევი სპეციალური გუნდის შესაქმნელად, რათა მოხდეს ვებ-გვერდზე შემოსული მოქალაქეთა კომენტარების გაანალიზება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებულება **ნაწილობრივ შესრულდა**.

<sup>12</sup> ფასიანია მხოლოდ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები.



## მიმდინარე/დაგეგმილი აქტივობები

2014-2015 წლებისთვის დაგეგმილია მაცნეს ვებ-გვერდზე შემოსული კომენტარების დამუშავების მექანიზმის დანერგვა და პორტალის შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება.

### 2.5. არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი

#### სამოქმედო გეგმა

საქართველოს მთავრობა უდიდეს ყურადღებას უთმობს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობას. წამყვანი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები არიან წევრები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს. გარდა ამისა, ღია მმართველობის ინიციატივის ფარგლებში საქართველო მჭიდროდ ითანამშრომლებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან: შეიქმნება არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი, რომელიც ხელს შეუწყობს და მონიტორინგს გაუწევს ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას.

**ქრონოლოგია:** ფორუმის შეხვედრები გაიმართება თვეში ერთხელ

**პასუხისმგებელი ორგანო:** იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი

**OGP გამოწვევა:** საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა

**OGP ღირებულება:** ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; მოქალაქეთა ჩართულობა; ანგარიშვალდებულება

**შეფასება:** უმეტესად შესრულდა

#### ვალდებულების შესრულების შეფასება

სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის მონიტორინგის მიზნით, 2012 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი. ფორუმი შედგებოდა შვიდი არასამთავრობო და ერთი დონორი ორგანიზაციისგან.<sup>13</sup> ყოველთვიურ შეხვედრებზე ფორუმის შემადგენლობა ერთმანეთს უზიარებდა იდეებს და სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებულ სიახლეებს. ფორუმის ფარგლებში ასევე მზადდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციათა

<sup>13</sup>საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო; ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი; ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; მედია-კოალიცია; კოალიცია ევროპული საქართველოსთვის; ახალი ხედვა საქართველო; ჯამსტარტ ჯორჯია; USAID საქართველო.

რეკომენდაციები. მიუხედავად ამისა, ფორუმმა სრულად ვერ მიაღწია დასახულ მიზანს, ვინაიდან მას აკლდა კოორდინაციის მექანიზმი და არ გააჩნდა ფართო წარმომადგენლობა.

ფორუმის გაძლიერებისა და წარმომადგენლობის გაფართოვების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი გარდაქმნის შესახებ; შემუშავდა ფორუმის სახელმძღვანელო წესები, რომელშიც დეტალურად გაიწერა ფორუმის მუშაობასთან დაკავშირებული პროცედურები და რეგულაციები, ფორუმის შემადგენლობას კი დაემატა პასუხისმგებელი უწყებები. ფორუმის ფუნქციებს დაემატა ასევე სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგი და ხელშეწყობა.<sup>14</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობა ღია მმართველობის ფარგლებში არ შემოფარგლულა მხოლოდ ფორუმის საქმიანობით. 2012–2013 წლებში გაიმართა არა ერთი სამუშაო შეხვედრა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. წარმატებული თანამშრომლობის ერთ–ერთი თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს რეფორმა ინფორმაციის თავისუფლების სფეროში. აღნიშნული მოიცავს 2012 წლის საკანონმდებლო ცვლილებებს, მთავრობის 2013 წლის განკარგულებას „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“<sup>15</sup> და მთავრობისათვის წარდგენილ რეკომენდაციებს ინფორმაციის თავისუფლების სფეროს დახვეწისათვის საჭირო აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ.

გარდა ამისა, 2013 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2014–2015 წლების ღია მმართველობა საქართველოს სტრატეგიული პრიორიტეტები, რომელიც შემუშავდა 18 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებული რეკომენდაციების საფუძველზე.<sup>16</sup>

მუშაობა ფორუმის განახლებისთვის დასრულდა 2013 წელს, 2014 წლის 15 იანვარს კი გაიმართა განახლებული ფორუმის პირველი შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მიღებულ იქნა ფორუმის დებულება. ფორუმი ასევე შეთანხმდა ახალი სამოქმედო გეგმის ფორმატზე და

---

<sup>14</sup> იხილეთ გვ. 8-10.

<sup>15</sup> ხელმისაწვდომია:

[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2001875&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2001875&lang=ge)

<sup>16</sup> დეტალური ინფორმაცია იხილეთ: <http://ogpblog.files.wordpress.com/2013/02/final-draft.pdf>.

გეგმის შემუშავების პროცესში გასამართ საჯარო კონსულტაციებზე. ფორუმმა ასევე იმსჯელა ღია მონაცემთა პორტალის შესახებ.

ზემოაღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხარისხი და მათი პროცესებში ჩართულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2013 წელს; განახლდა არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი. მიუხედავად ამისა, ვინაიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფორუმის მუშაობაში იყო გარკვეული ხარვეზები, შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ ვალდებულება უმეტესად შესრულდა.

### მიმდინარე/დაგეგმილი აქტივობები

მთავრობა მიიჩნევს, რომ ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი ეფექტური მექანიზმია ეროვნულ დონეზე კოორდინაციისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად. მეტი თანამშრომლობა და პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა იქნება გამჭვირვალობის, ღიაობისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გარანტი. შესაბამისად, სამომავლოდ დაგეგმილია განახლებული ფორუმის შეუფერხებელი მუშაობა და ამ მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

### გამოწვევა III - საჯარო რესურსების უკეთესი მართვა

#### 3.1. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა

##### სამოქმედო გეგმა

2003 წლამდე სახელმწიფო შესყიდვები კორუფციული გარიგებების ნავთსაყუდელი იყო. 2003 წლის შემდეგ დაინერგა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა - [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge). სახელმწიფო შესყიდვები და თავად ვაჭრობის პროცესი მიმდინარეობს ელექტრონულად და ღია ყველასათვის. სრულად უზრუნველყოფილია შეჯიბრებითობა. სახელმწიფო ელექტრონულ სისტემასა და ელექტრონულ ვაჭრობას მიმართავს გაყიდვების განხორციელების დროსაც: [www.eauction.ge](http://www.eauction.ge). პრინციპები იგივეა: სრული გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და თანაბარი კონკურენციის პირობები. დაგეგმილია ელექტრონული აუქციონის სისტემის სრულყოფა, რათა ის მომხარებლისთვის უფრო მარტივად გამოსაყენებელი გახდეს.

გამჭვირვალობის ხარისხის გასაზრდელად შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვებთან

დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო, სადაც საჯარო მოხელეებთან ერთად თანაბარი ოდენობით არიან წარმოდგენილი არასამთავრობო ორგანიზაციები.

ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში აღებული ვალდებულების ფარგლებში, 2012-2014 წლებისათვის საქართველო მიზნად ისახავს დახვეწოს არსებული სისტემა და მოძებნოს ახალი გზები, რითაც სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში მოხდება ფასისა და ხარისხის კრიტერიუმების დაბალანსება და სისტემის ანალიტიკური მოდულის გაუმჯობესება.

**ქრონოლოგია:** იმპლემენტაცია მიმდინარეობს და გაგრძელდება მომავალი ორი წლის განმავლობაში.

**პასუხისმგებელი ორგანო:** კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

**OGP გამოწვევა:** საჯარო რესურსების უკეთესი მართვა; საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა

**OGP ღირებულება:** ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; ტექნოლოგია და ინოვაცია; ანგარიშვალდებულება

**შესრულება:** უმეტესად შესრულებული

### ვალდებულების შესრულების შეფასება

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა - [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

ფუნქციონირებს 2010 წლის 1

დეკემბრიდან და მის მართვას

უზრუნველყოფს კონკურენციისა და

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

სისტემის შექმნიდან დღევანდლამდე

გამოცხადებულია 77 112

ელექტრონული ტენდერი. 45 726

ტენდერის შემთხვევაში, როდესაც

ხელშეკრულება დაიდო, მონაწილეობა

მიიღო 81 786 მონაწილემ. 2010 წლის დეკემბრიდან გამოცხადებულ ელექტრონულ

ტენდერებში შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5 505 657 674 ლარს, ხოლო

*„ელექტრონული შესყიდვების ოფიციალური სისტემა, რომელიც სახელმწიფო კონტრაქტების გაფორმების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და გამჭვირვალე მოდელს წარმოადგენს“ – საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო*

ელექტრონული ვაჭრობის შედეგად სახელმწიფო სახსრების ეკონომიამ შეადგინა **438 893 991** ლარი, რაც სავარაუდო ღირებულების 8% წარმოადგენს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა კონკურენცია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, რაზეც მიუთითებს ტენდერში მონაწილეთა საშუალო რაოდენობის ზრდა. 2011 წლის პირველ ნახევარში მონაწილეთა საშუალო რაოდენობა ერთ ტენდერში იყო 1.75, ხოლო 2013 წლის პირველ ნახევარში აღნიშნული ციფრი 2.11 შეადგენს.

2012 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადაეცა გაეროს ჯილდო კატეგორიაში „კორუფციის პრევენცია და დამარცხება საჯარო სამსახურში“. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს კვლევის მიხედვით, „ელექტრონული შესყიდვების ოფიციალური სისტემა, რომელიც სახელმწიფო კონტრაქტების გაფორმების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და გამჭვირვალე მოდელს წარმოადგენს“.<sup>17</sup>

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში ამუშავდა შიდა სისტემური კითხვა-პასუხის მოდული, რომლის მეშვეობითაც მიმწოდებლებს შეუძლიათ დასვან კითხვები მათთვის საინტერესო გამოცხადებული ტენდერის თაობაზე და მიიღონ პასუხები შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციისაგან. 2013 წლის სექტემბრის მონაცემებით სისტემაში დასმულია 3500-ზე მეტი შეკითხვა. გარდა ამისა, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ საერთაშორისო გამჭვირვალობასთან ერთად შეიმუშავა ანალიტიკური მოდული [www.tendermonitor.ge](http://www.tendermonitor.ge). აღნიშნული მოდული მოქალაქეთა შესაძლებლობაა სხვადასხვა საძიებო სისტემის გამოყენებით გაეცნონ ინფორმაციას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგი ჩატარდა სისტემის 1000-მდე მომხმარებელს. გარდა ამისა, მომზადდა სისტემის მომხმარებლის [ქართულენოვანი](#) და [ინგლისურენოვანი](#) სახელმძღვანელოები, რომლებშიც დეტალურად არის აღწერილი სისტემის გამოყენების ინსტრუქცია შესაბამისი სურათებით. დამატებით მომზადდა ვიდეო გაკვეთილების მოდული, რომელსაც სისტემატურად ემატება კონკრეტული მოქმედების ამსახველი ვიდეო გაკვეთილი. ამას გარდა, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე შეიქმნა ახალი მოდული „საინტერესო ციფრები“, რომელიც ასევე დამატებითი საშუალებაა ვებ-გვერდის ვიზიტორებისთვის, გაეცნონ შესყიდვებთან დაკავშირებულ მონაცემებს.

---

<sup>17</sup> ხელმისაწვდომია: <http://transparency.ge/post/report/sakartvelos-shesqidvebis-elektronuli-sistema>

ზემოაღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სისტემის გასავითარებლად, მათ შორისაა ანალიტიკური მოდულის შემუშავება. მიუხედავად ამისა, პრობლემად რჩება შესყიდვების სფეროში ფასისა და ხარისხის ბალანსირება, შესაბამისად მთავრობის შეფასებით ვალდებულება უმეტესად შესრულდა.

### მიმდინარე/დაგეგმილი აქტივობები

სააგენტოს სამომავლო გეგმების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს (1) ელექტრონული კატალოგებისა და (2) ელექტრონული შეკვეთების მოდულის შექმნა აღნიშნული მოდულებით სააგენტოს ვებ-გვერდზე გაჩნდება კატალოგები პროდუქტებისა, რომლებსაც ვებ-გვერდიდანვე შეარჩევენ და გამოიწერენ შემსყიდველი ორგანიზაციები.

სააგენტოს გეგმების ნაწილია ინტენსიური ტრენინგ კურსების გამართვა შესყიდვების აგენტებისა და მომწოდებელთა წარმომადგენლებისთვის.

### 3.2. ელექტრონული დეკლარაციების სისტემა

#### სამოქმედო გეგმა

საქართველოში მოქმედებს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონული სისტემა, რომელიც ღია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის: [www.declaration.ge](http://www.declaration.ge). სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, დახვეწოს არსებული სისტემა და შექმნას მონიტორინგის მექანიზმი.

**ქრონოლოგია:** იმპლემენტაცია მიმდინარეობს და გაგრძელდება მომავალი ორი წლის განმავლობაში.

**პასუხისმგებელი ორგანო:** საჯარო სამსახურის ბიურო

**OGP გამოწვევა:** საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა

**OGP ღირებულება:** ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; ტექნოლოგია და ინოვაცია; ანგარიშვალდებულება

**შეფასება:** უმეტესად შესრულებული

## ვალდებულების შესრულების შეფასება

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის თანახმად ყველა თანამდებობის პირი ქონებრივი დეკლარაციას ავსებს ელექტრონულად,

*ვებგვერდზე ატვირთულია 45 500-ზე მეტი დეკლარაცია; 2010 წლის შემდეგ საერთო ჯამში დაფიქსირდა 250 000 ჩამოტვირთვა*

ვებ-გვერდზე – [www.declaration.gov.ge](http://www.declaration.gov.ge). საქართველოში თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციათა ელექტრონული სისტემა შეიქმნა საჯარო სამსახურის ბიუროს (ბიურო) მიერ 2010 წელს და მას შემდეგ წარმატებით მოქმედებს. სისტემა ზრდის გამჭვირვალობის ხარისხს და მოქალაქეთა ნდობას სახელმწიფოს მიმართ, ამცირებს ინტერესთა შეუთავსებლობის რისკს და თითოეულ მოქალაქეს აძლევს შესაძლებლობას იხილოს თანამდებობის პირთა ფინანსური დეკლარაციები.

დღევანდელი მდგომარეობით 3100 მაღალი თანამდებობის პირი ვალდებულია შეავსოს ქონებრივი დეკლარაცია; საერთო ჯამში ვებ-გვერდზე ინახება 45500-ზე მეტი დეკლარაცია,<sup>18</sup> სისტემიდან კი ჩამოტვირთვის ფუნქცია განხორციელებულია 250,000-ზე მეტჯერ. გარდა ამისა, მომდევნო წლისათვის

დაგეგმილია გაიზარდოს იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც მოახდენენ ქონების დეკლარირებას და დეკლარანტების ჩამონათვალს დაემატოს 500-მდე ახალი

*2013 წელს ქონებრივი დეკლარაციის სისტემამ მიიღო გაეროს ჯილდო ნომინაციაში კორუფციის პრევენცია და დამარცხება საჯარო სექტორში*

თანამდებობის პირი. აღნიშნულთან დაკავშირებით პარლამენტს კანონპროექტი წარუდგინა იუსტიციის სამინისტრომ, რომელიც მიღებულ იქნა 2013 წლის ნოემბერში და ამოქმედდება 2014 წელს.

2013 წლის ივლისში სისტემას დაემატა ეფექტური ანალიტიკური ინსტრუმენტები, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოებას მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით მოამზადოს ანალიტიკური ანგარიშები;

<sup>18</sup> სისტემაში ასევე აიტვირთა წინა წლებში მხოლოდ ქაღალდზე არსებული დეკლარაციები.

2013 წელს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონულმა სისტემამ გაიმარჯვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ საჯარო სამსახურის პრესტიჟულ კონკურსზე ნომინაციაში: „კორუფციის პრევენცია და დამარცხება საჯარო სამსახურში“.

ამ ეტაპზე ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შემუშავება საჯარო სამსახურის ბიუროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ საკითხთან დაკავშირებით შემუშავდა კომპლექსური კვლევა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში მონიტორინგის სისტემების შესახებ. ინტენსიური კონსულტაციების შედეგად კი განისაზღვრა მონიტორინგის მექანიზმის ოპტიმალური ვარიანტი საქართველოსთვის - შემთხვევით შერჩევაზე დაფუძნებული მიდგომა, საჩივრებზე დაფუძნებულ სისტემასთან ერთად.

ზემოაღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, ვალდებულების პირველი ეტაპი, რაც ეხებოდა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონული სისტემის გაუმჯობესებას, სრულად შესრულდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ. მნიშვნელოვნად განვითარდა დეკლარაციების მონიტორინგის სისტემაც და შესაბამისი პროცესი ამ ეტაპზეც გრძელდება. აქედან გამომდინარე, ვალდებულება უმეტესად შესრულდა.

### **მიმდინარე/დაგეგმილი აქტივობები**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან კონსულტაციების მეშვეობით გადაიღვა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. საქართველოს მთავრობა აგრძელებს დეკლარაციების მონიტორინგის სისტემაზე მუშაობას, რომლის დანერგვასაც გეგმავს 2014 წლის ბოლომდე.

### **გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა**

#### **4.1. ტექნოლოგია ზრუნავს უსაფრთხოებაზე: სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული წარმოება და ელექტრონული სტატისტიკა; დანაშაულის რუკა; უსაფრთხო უბანი**

#### **სამოქმედო გეგმა**

საქართველოს მთავრობამ გაატარა არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება საქართველოს



მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეროვნული 2011 წლის დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევის მონაცემებით, საქართველოს მოქალაქეთა 70% თავს გრძობს უსაფრთხოდ, ხოლო 95 პროცენტს არ ემინია, რომ მის წინააღმდეგ შესაძლოა ჩაიდინონ დანაშაული.

2011 წელს შეიქმნა სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული წარმოების ინტეგრირებული სისტემა - ICCMS, რომელმაც სისხლის სამართლის საქმისწარმოება გახადა სრულად ელექტრონიზებული, ყველა მტკიცებულება ელექტრონულია. პროგრამის დახვეწის მიზნით, საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება შეექმნა დანაშაულთა ელექტრონული სტატისტიკა, რომელიც დაეფუძნება სისხლის სამართლის ელექტრონული წარმოების პროგრამას, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სისრულესა და ასპროცენტულ სიზუსტეს. მიზანთა შორისაა ბიზნეს-ანალიტიკური მოდულის ჩამოყალიბება, რაც შექმნის არსებული სტატისტიკისა და მონაცემთა დამუშავების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, საქართველომ აიღო ვალდებულება შექმნას დანაშაულის გეოგრაფიული განაწილების რუკა რათა დანაშაულთა სტატისტიკა ხელმისაწვდომი იყოს ქუჩის სიზუსტით. დანაშაულის რუკა სახელმწიფოს შესაძლებლობას მისცემს ეფექტიანად მოახდინოს დანაშაულის პრევენცია შესაბამისი ტერიტორიის მიხედვით.

და ბოლოს, საქართველო გეგმავს „უსაფრთხო უზნის“ პროექტის იმპლემენტაციას, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები შეძლებენ ონლაინ ეკონტაქტონ ადგილობრივ პროკურორებს და შეატყობინონ მათ ზოგადი ან კონკრეტული პრობლემის შესახებ შესაბამის უბანში.

**ქრონოლოგია:** სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული წარმოების ინტეგრირებული სისტემის იმპლემენტაცია მიმდინარეობს და გაგრძელდება მომავალი ორი წლის განმავლობაში. დანაშაულის რუკისა და „უსაფრთხო უზნის“ იმპლემენტაცია დაიწყება 2012 წელს.

**პასუხისმგებელი ორგანო:** საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები; საქართველოს უზენაესი სასამართლო

**OGP გამოწვევა:** უსაფრთხო გარემოს შექმნა

**OGP ღირებულება:** ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; ტექნოლოგია და ინოვაცია

შეფასება: განხორციელების პროცესში

### ვალდებულების შესრულების შეფასება

- სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული წარმოება

სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული წარმოების ინტეგრირებული სისტემა (ICCMS) - ამბიციური და გრძელვადიანი

*ICCMS სისხლის სამართლის საქმისწარმოებას ხდის სრულად ელექტრონიზებულს*

პროექტია, რომელიც სისხლის სამართლის საქმისწარმოებას ხდის სრულად ელექტრონიზებულს. სისტემა შეიქმნა სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე. ამ ეტაპზე გამომძიებლებსა და პროკურორებს შესაძლებლობა აქვთ მართონ ესა თუ ის საქმე ონლაინ სივრცეში. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ სისტემაში უნდა მომხდარიყო სასამართლოების ჩართვაც, თუმცა სამუშაო პროცესი ამ მიმართულებით ამ ეტაპზეც გრძელდება. სისტემის გაუმჯობესების მიზნით, გაჩნდა ბიზნეს-ანალიტიკური მოდულის შექმნის ინიციატივა, რომელიც გააადვილებს სისხლის სამართლის სფეროში გადაწვეტილებების მიღების პროცესს სისტემაში არსებული ზუსტი ინფორმაციისა და იქვე არსებული მონაცემების მეშვეობით. ეს მექანიზმი შესაძლებლობას იძლევა კონკრეტული ინდიკატორების მიხედვით მოხდეს კრიმინალურ მონაცემთა კატეგორიზაცია, დაჯგუფება, გადარჩევა და ანალიზი. აღნიშნული მოდული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სრულად არ ამოქმედებულა.

- დანაშაულის რუკა

საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა დაიწყეს მუშაობა დანაშაულის რუკის პროგრამის შესაქმნელად. ასეთი ტიპის რუკების დიდი უპირატესობაა მათი მოხერხებულობა, ვინაიდან ისინი იძლევიან, როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე კონკრეტული რეგიონის მასშტაბით ყველა რეგისტრირებული დანაშაულის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას მთელი რიგი ფაქტორების ნათლად ილუსტრირების მეშვეობით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეიქმნა პროგრამის ინტერფეისი. თუმცა, შემდეგ ეტაპზე საჭიროა შსს საგამომძიებო დანაყოფებისთვის GPS პოზიციონირების მოწყობილობების შექმნა, რაც რუკაზე დანაშაულის ადგილის 2-3 მეტრის სიზუსტით იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემს. აღნიშნული, უახლოეს მომავალში იგეგმება.

- უსაფრთხო უზანა

მთავრობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინიციატივას წარმოადგენს პროექტი „უსაფრთხო უბანი“, რომელიც ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას დაუკავშირდეს ადგილობრივ პროკურორს ონლაინ და შეატყობინოს მას მის უბანში არსებული სხვადასხვა პრობლემის შესახებ. [www.igov.ge](http://www.igov.ge)-ის მეშვეობით მოქალაქეს შეუძლია მეტი შეიტყოს პროკურორთა შესახებ კონკრეტული საცხოვრებელი რაიონის მითითებით და პროკურორს მიაწოდოს ამ კონკრეტულ რაიონში დანაშაულთა შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია. აღნიშნული სისტემა შექმნილია იუსტიციის სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის მიერ. პროგრამის დასახვეწად საჭიროა დამატებითი სამუშაოების გაწევა.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღნიშნული ვალდებულებებისთვის არ არის ზუსტად გაწერილი შესრულების ეტაპები და ვადები. შესაბამისად, რთულია ვალდებულების შესრულების ხარისხის განსაზღვრა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია შეფასდეს ზოგადი პროგრესი. ზემოთ განხილული 3 პროექტის დასასრულებლად კვლავ საჭიროა მნიშვნელოვანი სამუშაოს გაწევა, რაც ნიშნავს, რომ ვალდებულება **განხორციელების პროცესშია**.

#### **მიმდინარე/დაგეგმილი აქტივობები**

განახლებული და დასრულებული უსაფრთხო უბნის პროექტი მთავარი პროკურატურის მიერ ამოქმედდება 2014 წლის ბოლოს. ასევე გრძელდება კონსულტაციების პროცესი რათა მოხდეს დანაშაულის რუკის ეფექტურ ამოქმედებასთან დაკავშირებული დეტალების შეთანხმება აღნიშნულის 2014 წელს დასრულების მიზნით. სამუშაო პროცესი გრძელდება სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული წარმოების ინტეგრირებული სისტემის დახვეწის მიზნითაც.

### **VII. გამოწვევები და მიღებული გამოცდილება**

ვალდებულებათა შესრულების შეფასებისას მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს გამოწვევებსა და იმ პროცესებზე, რომელთა დასრულება საჭიროა გეგმის სრულად იმპლემენტაციისათვის. ანგარიშის ზემოთ განხილულ თავებში შეფასდა თითოეული ვალდებულების შესრულება, გამოიკვეთა სამომავლო ნაბიჯები და ის მიზნები, რომლებიც ჯერ კიდევ მისაღწევია. წინამდებარე თავში ყურადღება გამახვილდება მიღებულ გამოცდილებაზე, რომლის გათვალისწინებაც გაადვილებს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებას და მის შემდგომ იმპლემენტაციას.

საერთო ჯამში, ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესი წარმატებული აღმოჩნდა, მით უფრო, რომ ეს იყო საქართველოს პირველი გამოცდილება ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში. პროცესებისთვის ხელი არ შეუშლია ასევე საპარლამენტო არჩევნების შედეგად მთავრობის ცვლილებას; ახალმა მთავრობამ სწრაფად განაგრძო წინა ხელისუფლების მიერ აღებულ ვალდებულებათა იმპლემენტაცია. უფრო მეტიც, მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნულ დონეზე კოორდინაციის მექანიზმის გასაუმჯობესებლად, რაც ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენდა იმპლემენტაციის პროცესის პირველი წლის განმავლობაში.

*საქართველოს მთავრობის ახალი ვალდებულება ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის დახვეწა და ღია მონაცემთა პორტალის – data.gov.ge-ის შექმნა*

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მოხდა არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის გარდაქმნა და იგი ჩამოყალიბდა როგორც ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი – შემუშავდა სახელმძღვანელო წესები და სამუშაო პროცედურები; მთავრობამ გამოსცა

პირველი ნორმატიული აქტი ღია მმართველობის პარტნიორობის თაობაზე და ჩატარდა არა ერთი მრგვალი მაგიდა დაინტერესებულ პირთა ფართო წრის მონაწილობით.

ამავე დროს, შეფასების პროცესმა გამოავლინა სამოქმედო გეგმის თავისებურებით გამოწვეული რამდენიმე ხარვეზი. კერძოდ, დოკუმენტის უმეტეს ნაწილში ნათლად არ იყო განსაზღვრული ინდიკატორები და ვადები, რომელთა საფუძველზეც ხდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ზუსტი შეფასება. შესაბამისად, აღნიშნული გამოცდილება მხედველობაში იქნება მიღებული მომდევნო სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.

ძირითად ამოცანებს შორის ერთ-ერთია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ვინაიდან ღია მმართველობის პრინციპები სწორედ საზოგადოების ჩართულობას, მათ წევრთა გაძლიერებას გულისხმობს. საჭიროა საზოგადოების სისტემატურად ინფორმირება მთავრობის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესახებ, რათა ისინი მეტად ჩაერთონ პროცესებში. ამ მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, თუმცა ამ პროცესს არ ჰქონია სისტემატური და სტრუქტურული ხასიათი. დაგეგმვის ახალ ეტაპზე მთავრობამ

უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მეტი ჩართულობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვანი იყო რათა ნათლად წარმოჩენილიყო რისი მიღწევაა შესაძლებელი განსაზღვრულ პერიოდში არსებული ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენებით. გეგმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია, ზედმიწევნით შეფასდეს არსებული რისკები და შესაძლო ბარიერები. პირველმა წელმა აჩვენა, რომ ზოგიერთ საკითხებთან (ichange.ge; data.gov.ge და სხვ.) დაკავშირებით არსებული რესურსების არასათანადოდ და გადაჭარბებულად შეფასდა.

არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის განახლება, გაფართოვება და მონიტორინგის ახალი ფუნქციებით აღჭურვა უზრუნველყოფს ღია მმართველობა საქართველოს ფარგლებში მიმდინარე პროცესების უკეთეს კოორდინაციას.

## VII. სამომავლო გეგმები

საქართველო მზადყოფნას გამოთქვამს თავის საქმიანობაში დაეყრდნოს ღია მმართველობის პრინციპებს და ითანამშრომლოს პარტნიორობის წევრ სახელმწიფოებთან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. გამოცდილება, რომელიც მივიღეთ პირველი წლების განმავლობაში დაგვეხმარება უკეთ დაგვეგმოს სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესი.

*2013 წლის განმავლობაში საქართველოს ახალი მთავრობის მიერ მიღწეულ იქნა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უპრეცედენტო ხარისხი*

ჩვენ ვამაყობთ იმ მიღწევებით, რაც განხორციელდა ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობასთან, ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასთან და ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოთხოვასთან დაკავშირებით და რაც საქართველომ გაუზიარა

*საქართველოს მთავრობა გამოხატავს ნებას იყოს ღია მმართველობის პარტნიორობის აქტიური წევრი, რათა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მთავრობებს შორის გამოცდილების გაზიარებაში, ღიაობის, მოქალაქეთა ჩართულობის, დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერებასა და ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებაში*

პარტნიორობის წევრ ქვეყნებს ლონდონის ყოველწლიურ სამიტზე. ამასთან, საქართველო მოხვდა 7 ფინალისტ ქვეყანას შორის, რომელიც წარდგენილ იქნა სამიტის საპრიზო შეჯიბრზე „Bright Spots“. კონკურსი მიზნად ისახავდა ეჩვენებინა საზოგადოებისათვის, თუ რამდენად ცვლის მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებას მთავრობათა ღიაობა და

ანგარიშვალდებულება.

ღია მმართველობის პარტნიორობაში მონაწილობა საქართველოს მეტ სტიმულს აძლევს, არ დაკმაყოფილდეს არსებული მიღწევებით, სრულყოფილად შეასრულოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულები, დასახოს ახალი მიზნები, გაუზიაროს პარტნიორ სახელმწიფოებს მიღებული გამოცდილება, ისწავლოს მათგან და იყოს მეტად გამჭვირვალე, ღია და ანგარიშვალდებულები.

2013 წლის სექტემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ღია მმართველობის 2014-2015 წლების პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმა საერთაშორისო საზოგადოებას 2014 წლის გაზაფხულზე წარედგინება.

მანადე კი, საქართველომ დაიწყო აქტიური თანამშრომლობა სამოქალაქო და ფართო საზოგადოებასთან, რათა უზრუნველყოს პროცესებში მათი აქტიური ჩართვა, OGP-ის სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა და ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით ქვეყნის ახალი სამოქმედო გეგმის მიღება.

DRAFT

## დანართი. ვალდებულებათა შესრულების სქემა

ვალდებულება	განხორციელების პერიოდი	შესრულების შეფასება	პასუხისმგებელი უწყება
<b>გამოწვევა I: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება</b>			
1. იუსტიციის სახლი – ყველაფერი ერთ სივრცეში	2013	უმეტესად შესრულდა	იუსტიციის სამინისტრო
2. ელ-მმართველობა ადგილობრივ თვითმმართველობებში	2013	ნაწილობრივ შესრულდა	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
3. მოქალაქის პორტალი	2013	სრულად შესრულდა	მონაცემთა გაცვლის სააგენტო
4. ჯანდაცვის სფეროში მომსახურების გაუმჯობესება	2013	ნაწილობრივ შესრულდა	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო
<b>გამოწვევა II: საზოგადოების ჩართულობის გაზრდა</b>			
5. Data.gov.ge; Ichange.ge; საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება	2013	ნაწილობრივ შესრულდა	იუსტიციის სამინისტრო; მონაცემთა გაცვლის სააგენტო
6. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	2013	სრულად შესრულდა	იუსტიციის სამინისტრო; უზენაესი სასამართლო
7. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა	2013	სრულად შესრულდა	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
8. მოქალაქეთა ჩართულობა	2012	ნაწილობრივ შესრულდა	საკანონმდებლო მაცნე



საკანონმდებლო პროცესში			
9. არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი	მიმდინარე პროცესი	უმეტესად შესრულდა	იუსტიციის სამინისტრო
10. ელექტრონული დეკლარაციები	2013	უმეტესად შესრულდა	საჯარო სამსახურის ბიურო
<b>გამოწვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა</b>			
11. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა	2013	უმეტესად შესრულდა	კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
<b>გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა</b>			
12. ტექნოლოგია ზრუნავს უსაფრთხოებაზე: სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული წარმოება და ელექტრონული სტატისტიკა; დანაშაულის რუკა; უსაფრთხო უბანი	2012/2013	განხორციელების პროცესში	იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო; უზენაესი სასამართლო